

\* \* \*  
შავს ცხენზე მჯდომი, ვით ელვა მალი,  
უცნობი დაჰქრის, ვერ ასწრობს თვალს!  
დაჰქრის, თან დააქვს მას ცეცხლის ალი,  
ხელში უჭირავს შიშველი ხმალი.

ძილს უფროთხობს ქალაქს! ძილს უფროთხობს სოფელს!  
უძახის გმირულ საქმეთა მყოფელს!  
უძახის თვისტომს და განუყოფელს.

რატომ საჯაროდ არ გვეჩვენება?  
ხორციელია, თუ რამ ჩვენება?  
ნუ თუ არ ვიცით მისი სურვილი?  
ვინ უნდა იყოს პირმობურვილი,  
ჩაჩქან-ასხმული და შეჭურვილი?!

თურმე გულს ბოღმა ვეღარ ეტია...  
ამირანს ჯაჭვი აუწყვეტია!  
ჩვენ შორის დაჰქრის, ვით ელვა მალი,  
ხელში უჭირავს შიშველი ხმალი!  
ვის უნდა მოჰხედეს?—ვაჰ, ჰისი ბრალი!!

სანდრო შანშიაშვილი

### ვუქლვნი სამედ-გაგ აგაშიძეს

დიდის ხნის დაშორებული  
ძმა ვნახე, გულში მიამა,  
კარი გაუღო სამშობლომ,  
მიესალამა, იამა.

კონა მიუძიენა ვარდისა,  
ნახად აღზრდილმა იამა;  
წყულულის გულისა მალამოდ  
გულს ჩაიკონ—იამა.

კნ. ინო ორბელიანისა.

1915 წ. 2 ივლისი.

### რაბინდრანათ ტაგორიდან

გერმანულიდან.

თავი მიანებე შენს სამუშაოს, პატარალო. ყური უგდე, სტუმარი მოსულა.

გესმის, ყრუდ აჩხარუნებს იმ ჯაჭვს, რომლით კარია დამაგრებული?  
იცოდე, შენი სიარული დიდს ხმაობას არ იწვევდეს. შენი ნაბიჯი არ  
ააჩქარო, თუ კი გსურს მას წინ შეეგები.  
დაანებე თავი შენს მუშაობას, პატარალო, სტუმარი ღამით მოსულა.

არა, ეს შემადრწუნებელი ქარი არ არის, პატარალო, ნუ გეშინიან.  
ეს არის სავეგ მთვარე ერთ-ერთ კარილის ღამეში, ეზოში ჩრდილი  
ფერმიხდილია; მალლა ზეცა ნათელია.

შემოიხვიე შენს სახეზე პირსაბური, თუ სხვა არაფერი შეგიძლიან. კარ-  
თან ლამპარი მიანათე, თუ შიში გაქვს.

არა, ეს შემადრწუნებელი გრივალი არ ჰქრის, პატარალო, ნუ გეშინიან.

მას ნურც ერთს სიტყვას ნუ ეტყვი, თუ მორცხვი და გაუბედავი ხარ.  
კარიდან უკან გამობრუნდი, თუ მას შეჰხედები.

შეგეკითხება, შენ შეგიძლიან, თუ კვსურს, მდუმარემ თვალები დაჰხარო.  
ნუ ააუღერებ შენს სამაჯურებს, თუ ზამპრით ხელში მას აქეთ წამოიყვან.  
ნურც ერთს სიტყვას ნუ ეტყვი, თუ მორცხვი და გაუბედავი ხარ.

შენს საქმეს ვერ მორჩი, პატარალო? გაიგონე, სტუმარი მოსულა.  
ამ სიბნელეში ლამპარი არ აგინთა!

მზად არ გაქვს სამსხვერპლო კალათი, რათა ამ ღამეს ღვთის მსახურე-  
ბად ვსდგეთ?

განა ბედისჯადო თავქვეშ არ დაგიღია და არ გამზადებულხარ?  
ო დანიშნულო, გესმის, სტუმარი მოსულა!

თავი ანებე შენს სამუშაოს!



დიდის უკანასკნელი ნუგეში.

### ტ რ ფ ი ა ლ ი

მიყვარს მე ჩემი ქვეყნისა ჩაბნელებული ხევეები,  
მრავალი გრძნობის ამშლელნი, ფიქრების შემომსვეები,  
მთანი ცად აყუდებულნი, პირ-ქუშნი როგორც ღვეები,  
მოყმე-დარაჯნი ბარისა, ბნელ ღამეების მთევეები.

მიყვარს ციცაბო სალი კლდე ძველ ციხე-სალოცავითა,  
უფსკრულს რომ კმუნვით დასცქერის არწივის ბუდესაგითა,  
ტყის უბე-კალთა, ქედები, ქალა ხუტუჭი თავითა,  
ვუმზერ და თვალი ვერ ძლება ტურფათა სანახავითა!..

გ. უიშვილი.

\* \* \*

მოდო როგორიც ხარ; ნუ აყოვნებ მოკაზმულობით.

დაე თმა გაწეწილი და ერთმანეთში არეული გქონდეს, გონება მოუსა-  
ზრებელი და წელსაჭერი მოშვებული, ნუ მიაქცევ ნურაფერს ყურადღებას.  
მოდო როგორიც ხარ, ნუ დაყოვნებ მოკაზმულობით.

მწვანეზე დაადგი ფეხი და მოდი ჩქარის ნაბიჯით,  
თუ ფერხთა სიწითლე ნამისგან დაგისველდა, თუ ყვავილთაკონები  
შენს ფერხთა შემოეხვია, თუ მარგალიტები ყელსაბამიდან ჩამოგცვივა, ნუ  
მიაქცევ ნურაფერ ყურადღებას.

მწვანეზე გამოიარე და მოდი ჩქარის ნაბიჯით.

ჰხედავ, ზეცაზე ღრუბლები როგორ თავს იყრიან?  
წეროს ფრთებით მოფრინავენ შორეულ მდინარის ნაპირიდან და  
მსწრაფლ დაჰქრის მინდორ-ველად.

უსაშინლესი პირუტყვიც კი თავს აფარებს თავის სადგომს.

ჰხედავ, ცაზე ღრუბლები როგორ თავს იყრიან?

შენს ლამპარს საკოპწიო მაგიდაზე ამაოდ ანთებ, იგი ქარისაგან ჰქრება.  
ვინ შენიშნავს, რომ შენის თვალბის-სიმღერისთვის არავითარი სიშავე არ  
მიგიცია? შენი თვალები უფრო მუქია, ვიდრე წვიმად გამზადებული ღრუბელი.  
შენს ლამპარს საკოპწიო მაგიდაზე ამაოდ ანთებ—იგი ჩაქრება.

მოვედ როგორიც ხარ. ნუ აყოვნებ მოკაზმულობით, თუ კონა შენის  
თმისა ჯერ კიდევ შეკრული არ გაქვს, რა უშავს; თუ სამაჯური შეკრული არ  
გაქვს, თავი ანებე.

ცა ღრუბლებს დაუფარავს—უკვე გვიან არის.

მოვედ როგორიც ხარ, ნუ აყოვნებ მოკაზმულობით.

ს. შ.



პრაპ. თ-დი მიხეილ ავალიშვილი ნახევარ წლის წინად მოკლულ იქნა გალიციის ფრონტზე.



დამსახურებული ასოთ-ამწყობი ზაქარია დიმიტრის ძე კოტეტიშვილი. 50 წელიწადი შეუსრულდა, რაც ასოთ-ამწყობობს.

### ლეილ-მიჯნუნიანი

სპარსული პოემა ლექსად თარგმნილი მეფის თეიმურაზ პირველის მიერ. წინასიტყვაობა.

1. ღმერთო, მაღალო! სიბრძნე ხარ, თვით სიბრძნის მომცემლობით; არსისა არა-არსისა სიტყვით დამზადე მქნელობით; მომეც გონება, რომ ვიყო მაღლობის შემწირველობით; ხელეყო სპარსულსა წიგნებსა ქართულად მეთარგმნელობით.
2. მეშინის, ვაჰ თუ სოფელმა გული ცრუ ზრუნვით გამირთოს; ნივთთა უკანა დგომამან სული ცეცხლზედა წამირთოს; უქმი სიტყვისა პატიჟმან ჰირი ჰირზედა დამირთოს; პეტრეს სამოთხის გაღებად კლიტე ვერავინ წამირთოს.
3. სიბრძნე ჰხამს მარგე სულისა, განქარდეს ხორცთა შევებანი; უკლებლად სწერეს მამათა იგი წმინდანს მცნებანი; არვინ იკითხვენ წიგნებსა, შესწყინდათ ცუდად დებანი. მას არვინ ისმენს, ვარჩიე მსოფლიო მიდმოდებანი.
4. სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი; მძიმეა ენა ქართველთა, ვერ ძალმიძს მათებრ თხრობანი. მათ შეწყნახნითა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანი. აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი.

#### ყაისი და ლეილი.

1. ლეილ-მიჯნუნის ამბავსა შიხსიდას შევეცილები; არაბეთს, ლაზა ქალაქსა, იყვნენ მეფეთა შვილები; ერთს ლამეს იშვნენ ორნივე ჯერ ვარდნი გაუშლილები. განათლდა იგი ადგილი, აღარსად იყო ჩრდილები!
2. პირმეტყველთა მარგალიტთა ლალის ფერნი აღმოშობდნენ; ქრონოს, ძვესი, ოტარიდი სინათლესა მათ უძღვნოდნენ. მუნა მყოფნი პირმთვარენი იმღერდნენ და თამაშობდნენ: „მზე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსო“, ამას ხმობდნენ.
3. მათ ძეობა გადინადეს, ორგნით იყო სიხარული! ოროც დღესა ლხინი ჰქონდათ, ვის მოუვა თვალსა რული? ამას ჰგავდა, მას ქალაქსა სევდა არის დაკარგული! არ იცოდნენ, ბოლოს ჟამსა მათ დაჰხოცდა სიყვარული!
4. ვაჟი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა მზე არა. აღვის ნაკვეთმან მნათობთა მშვენება გაუზიარა. ძიძა მოუსხნეს ორთავეს, სიტყვის: არამც მოემშობა-რა! თუ თვალად ტურფა არ იყოს, ვაჟმან მოსწოვოს რძე არა.
5. გაჰვირდნენ ვაჟის საქმესა მოყვასნი დედ-მამიანად; სიტყვის თუ, რად არჩევს ლამაზსა, რად არის ასე ჰკვიანად? მესტროლაბენი აწვივებს მუნეჯიბ მერაბლიანად ჰკითხეს: გვითხაროთ, ვით იყოს ყრმა ესე დოვლათ-სვიანად?
6. თაყუმა!) სჩხრევენ, რამლსა ჰკერენ?), ჰქონდათ ვარსკლავთა თვლილობა; ეტლები რომელს ბურჯზე სდვას. ჰქონდათ ამისი ცილობა. იკითხვენ, სწერენ, არჩევენ, აქეთ დიდი გამოწვლილობა. ღმერთს შესტირიან მშობელნი: ვაჟს ჰქონდეს ბედ-კეთილობა!
7. მუნეჯიბთა სცნეს ბოლო ჟამს საქმე მის ყრმისა ყოფილი; სიტყვის თუ იქნებების ჰაბუჯად მისებრივ არვინ ყოფილი!.. სიტურფეს ჰხედავთ ყოველნი, მზე შექმნა სხვე გაყოფილი. სურვილის ეტლზე შობილა, ეშხი აქვს გულს შეყოფილი.

8. ეს გამიჯნურდეს ამ ვეზარად, სხვა ყოფილიყოს აროსა, სხვათა მიჯნურთა ხელობა მან თავსა არ აკმაროსა სრბით განელტოდეს სამყოფსა, თავი მხეცთანა აროსა; მაშინ სცნას, ვინცა აწ ჩემი სიბრძნენი გაიკმაროსა.

1) თაყუმი—წელთაღრიცხვის წიგნი, 2) რამლი—სამისნო წიგნი. რამლის კერა—მკითხაობა.

9. ესე სიტყვის. ადგნენ ყოველნი, წამოსვლად რადლა გვიანდელი გახარებულნი მშობელნი დაჰმუნდეს, დანადგლიანდეს დედა სტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა დანამიანდეს. სიტყვის თუ ეგების არ იქმნას, თავი ღმერთსავე მიანდეს.
10. ორთავეს ზრდიდნენ სათუთად ვითა ღირდა და ჰმვენობდა; მთვარესა ზედა შეწყობით ყორნის ფრთა-ბოლო მშვენობდა; მუნ ათას ფერთა ყვავილთა წალკოტი მალ-მოშენობდა; მათსა ვერ მტკრეტსა ლახვარი გულსა უწყალოდ შენობდა.
11. ოქროს ტაშტშია ბანდიან ვარდის წყლით ერთად ჩვილებსა. რწყავდინან გასაფურჩქნავად ვარდ-კოკობ-გაუშლილებსა; ათამაშებდნენ ბალშია ორთავე მეფის შვილებსა მათ ძოწის ფერთა ლაწვებთა წამწამი დაუჩრდილებსა.
12. ვაჟი მონათლეს, სუნათი უყვეს რჯულისა წესითა; სულ შემოკრიფეს არაბნი სალხინოდ, არა კვენსათა. მის მეჯლისისა საქებრად სიტყვა მოვილო მე სითა? მათ დასაწვავად სოფელი ცეცხლსა უგზებდა კვესითა!
13. ვაჟსა დაარქვეს ყაისი, ქალსა ლეილი უწოდეს; აწ ამას იქით ორთავეს გული ცეცხლითა უწოდეს; ნარგისთა შავი ლახვარი საკვდავად გამოუწოდეს. იტყოდნენ: წიგნი ვასწავლოთ, სასწავლოს მალ მოუწოდეს! (შემდეგი იქნება)

### წმიდათა წმიდა

ჩემ ბაღაში ვილაც ჰკრთება, ვით სიზმარი ვარდის ფერი; ვილაც უცხო, ვილაც ჩუმად, ჩემს ყვავილებს უაღერსებს... ვილაც დადის ნახ-ნარნარად, ვილაც მღერის ცისკრის ლექსებს...  
 ახ, ვინ არის უხილავი? აი, რა ძალამ დამატყვევა? მის შაირში, რად შაირობს, ხანაც ტრფობა, ხანაც წყევია?...  
 ან ეს სული ანაკენესი, მისა მიმართ რად იკმევა?..  
 ან ჩემ ბაღში, ჩემს ყვავილებს, რისთვის არხევის ასე ჩუმად? სულის ტაძარს რად მფლობელობს, რისთვის დგება მუნ ქურუმად..  
 ჩემს ბაღაში, როს ვიდოდი, ვინ ხარ ვინა, მუნ რო სჩანდი? —  
 —შენი სულის დედოფალი, შორეული, ქალის ლანდი!..

წმიდა არის შენი ტრფობა, ვით მყინვარე ცისკრის ხაზი, ვით აპრილის შაირები, ღთ მისის მუხამბაზი.  
 წმიდა არის, ვით ჩანჩქერი, ანასხლეტი ბროლის ქვებზე, წმიდა არის, ვით ნანინა—ივერის ნანგრევებზე...  
 წმიდა არის, ვით სიზმარი, ყრმის სიზმარი სულ პირველი, წმიდა არის, ვით საკმელ, ლაღადების შემწირველი.  
 შორეული, მაგრამ ახლოვ, სიწმინდედ გზის უკვდავება, შენი სულის საგალობელს, მსურს ერთ სიმაღ მეც ავება—  
 სულის ფსკერში ჰანგათ ვიქცე, დავიღვარო ჰანგად ცაზე და ვიწამო სამუდამოდ ეგ სიტურფე—სილამაზე....  
 გ. ლეონიძე.

### ცისკრის ვარდი

(პატარა პოემა)

მზემ მაჩუქა ცისკრის ვარდი ნარნარა და ალისფერა, ჰაბუჯს გული წარმიტაცა, ნატურა იყო მისი მზერა, ნელსაცხებლად ცრემლს ვწურავდი ვუნამავდი ღია გულსა მიხაროდა რო ვუმზერდი ჩემს ბაღაში გადმორგულსა.

გაიფურჩქნა. აღტაცების სამოსელთ გაიკვალთა, სიკეკლუცემ გაუფინა დასარწევად თეთრი კალთა, აღმადრენით შევხაროდი, ვაჟდერტი ცისკრის ქნარსა, ლხენას ლხენით შურს ვუძრავდი და ვუკლავდი ვნების ქარსა.

ერთხელ ავდექ. მოწყალე ცას ძღწად შევწირე ლოცვა წმიდა, სუნნელ ნექტრის ჟუჟუნითა ოქროს წვიმა ოდნავ სცრიდა. თრთოლვით ხელი წარვატანე ეშხთ დამთვრალს კისკისა ვარდს, მსურდა თრობა განმეცადა მის სუნელით სიძე თავდას.

მაგრამ შენეთ, ვარდი შეკრთა, ყრმის აღერსმა შეარცხვინა, ათრთოლებულ ზურმუხტ შტოდან იწყო ნელ-ნელ ჩამოცვივნა. ნიავესა სწრაფ წამოჰკრიფა ფერმიდილი ფურცელთ გროვა, ზღვას კისკისით შესთავაზა, აქ კ ბალი დააგლოვა.

ვიდექ მუნჯად. გულ-ნათუთქი ცრემლს ამაოდ ვასხურებდი, ღმერთ დაკარგულ მლოცველსავი ქვესენელში მყოფთ ვაწუხებდი. ქარი ჰქროდა. დავიწყებით ზვირი ზვირითან სრიალებდა, ცისკრის ვარდის წითელ ფურცლებს თეთრ არშიას შეავლებდა.

მიჰქრის ჟამი. მწუხარების ტაძრად გული გავიხადე, მზის სამოსი ძოწეული სულის ფითითა ავიხადე, ხსოვნის აჩრდილს ვით ეული გუმოყრილი ვევედრებდი შევექვითინებ და თან ვკითხავ, კლავ როდისლა შევეყრები?  
 Candide.



